საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 1427-02
04/07/2016

რექტორის მინდობილი პირის 2016 წლის 6 ივნისის N1166-02 ბრძანების ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისა და ბიზნესის სკოლის მიერ აკადემიური წერის ცენტრისთვის აკადემიური წერის მასწავლებლის(საბაკალავრო საფეხურისთვის) 15 თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ფარგლებში საკონკურსო კომისიის, სააპელაციო კომისიებისა და ვადების დადგენის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, ბიზნესის სკოლის დეკანის 2016 წლის 23 ივნისის N10205-35 სამსახურებრივი ბარათისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 30 ივნისის N10636-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. რექტორის მინდობილი პირის 2016 წლის 6 ივნისის N1166-02 ბრძანების ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისა და ბიზნესის სკოლის მიერ აკადემიური წერის ცენტრისთვის აკადემიური წერის მასწავლებლის(საბაკალავრო საფეხურისთვის) 15 თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ფარგლებში დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   მაია როგავა-ასოცირებული პროფესორი ბიზნესის სკოლაში-კომისიის თავმჯდომარე;
   კომისიის წევრები:
   მაკა ლაშხია- ასოცირებული პროფესორი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე;
   ლალი კახიძე- აკადემიური მუშაობის ტექნიკების პროგრამის მასწავლებელი;
   თინათინ ქავთარაძე-აკადემიური მუშაობის ტექნიკების პროგრამის მასწავლებელი;
   ნათია ქასრაშვილი- აკადემიური მსაობის ტექნიკების პროგრამის მასწავლებელი.

2. რექტორის მინდობილი პირის 2016 წლის 6 ივნისის N1166-02 ბრძანების ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისა და ბიზნესის სკოლის მიერ აკადემიური წერის ცენტრისთვის აკადემიური წერის მასწავლებლის(საბაკალავრო საფეხურისთვის) 15 თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ფარგლებში დამტკიცდეს სააპელაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   კომისიის თავმჯდომარე- მაკა ნოზაძე-აკადემიური მუშაობის ტექნიკების პროგრამის მასწავლებელი;
   კომისიის წევრები:
   მადონა გიორგაძე- აკადემიური მუშაობის ტექნიკების პროგრამის მასწავლებელი;
   მაგდა ასათიანი-აკადემიური მუშაობის ტექნიკების პროგრამის მასწავლებელი.

3. მიღებული საკონკურსო განცხადებები განხილულ იქნას 2016 წლის 4 ივლისიდან 11 ივლისის ჩათვლით, გასაუბრება ჩატარდეს 12 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით, კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 18 ივლისს, აპელაციის ვადად განისაზღვროს ვადა- 18 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით, სააპელაციო განაცხადების განხილვა მოხდეს 22 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით, საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 27 ივლისს.
4. უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოთ ბრძანებაში მითითებული მესამე პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბრძანებაში განსაზღვრულ პირებს, ბიზნესის სკოლას, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი